

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №431

2013 წლის 31 დეკემბერი

ქ. თბილისი

„იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ,
რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან
ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“

მუხლი 1

პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსის 58-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 103-ე მუხლის პირველი ნაწილისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს თანდართული „ტექნიკური რეგლამენტი იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2014 წლის 1 იანვრიდან.

პრემიერ-მინისტრი

ირაკლი ღარიბაშვილი

ტექნიკური რეგლამენტი

იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ,
რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან

თავი I

რეგულირების სფერო და ტერმინთა განმარტება

მუხლი 1. რეგულირების სფერო

1. ტექნიკური რეგლამენტი იმ მიწისქვეშა ობიექტების მშენებლობის (რეკონსტრუქციის) და ექსპლუატაციის შესახებ, რომლებიც არ არიან დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან (შემდგომში – რეგლამენტი) ადგენს ტექნიკური უსაფრთხოების მოთხოვნებს იმ ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილი მიწისქვეშა სივრცის (მღვიმის, გამოქვაბულის, გვირაბის) გამოყენებისა და მისი უსაფრთხო ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად, სადაც არ წარმოებს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან დაკავშირებული სამუშაოები.

2. რეგლამენტი ვრცელდება ბუნებრივად შექმნილ მღვიმებში და გამოქვაბულებში განთავსებული ობიექტების (შემდგომში – ობიექტი) მშენებლობაზე (რეკონსტრუქციაზე), ექსპლუატაციაზე, მასში არსებულ პროცესებზე, მომსახურე პერსონალზე და სავალდებულოა ყველა იმ საწარმოსა და ორგანიზაციისათვის, რომელიც ამ ობიექტს იყენებს ადმინისტრაციული დაშვების მიზნით.

3. რეგლამენტის მოთხოვნები არ ვრცელდება აირის, ნავთობისა და ნავთობპროდუქტების შესანახ მიწისქვეშა ობიექტებზე, სატრანსპორტო და საკოლექტორო გვირაბებზე, აგრეთვე, მეტროპოლიტენზე.

მუხლი 2. ტერმინთა განმარტება

რეგლამენტის მიზნებისათვის ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1. მიწისქვეშა გვირაბი – მიწისქვეშა ქანების ხელოვნურად გამოღების შედეგად შექმნილი თავისუფალი სივრცე, რომლის სიგრძე აღემატება მისი განივივეთის ზომებს. გვირაბის ექსპლუატაცია არ უნდა იყოს დაკავშირებული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებასთან.



2. მღვიმე (გამოქვაბული) – მიწისქვეშ ბუნებრივად წარმოქმნილი ვრცელი თავისუფალი სივრცე, რომელიც დღისეულ ზედაპირთან დაკავშირებულია ბუნებრივად ან ხელოვნურად შექმნილი გამონამუშევრით.
3. სამთო წნევა – ხელოვნურად გაყვანილ მიწისქვეშა გამონამუშევრის ირგვლივ არსებულ ქანებში წარმოქმნილი დაძაბულობა.
4. ჭაური– ვერტიკალური გვირაბი, რომელსაც უშუალოდ გამოსავალი მიწის ზედაპირზე აქვს.
5. რაბი, ტიხარი – სავენტილაციო ჭავლების გამმიჯნავი დროებითი კედელი, რომელიც ერთმანეთისგან მიჯნავს სუფთა და ნამუშევარჭავლიან ჰაერს.
6. სავენტილაციო კარი, სარქველი – რაბსა და ტიხარში, აგრეთვე, ჭაურის პირზე მოწყობილი ადამიანების სასვლელი, რომელიც დროებით იხსნება ადამიანების გავლის დროს.
7. კროსინგი– გვირაბების ურთიერთგადამკვეთი, საჰაერო ჭავლების გამმიჯნავი სავენტილაციო ნაგებობა.
8. გვირაბის სამაგრი – გვირაბში ამოყვანილი ხელოვნური საინჟინრო ნაგებობა, რომლის დანიშნულებაა გვირაბის განივცვეთის ზომების დაცვა და ხელოვნურად შექმნილ თავისუფალ სივრცეში მისი გარემომცველი ქანის ნატეხების ვარდნის თავიდან აცილება.
9. გვირაბის გამაგრება – სამაგრი კონსტრუქციის ამოყვანასთან დაკავშირებული სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესების ერთობლიობა.
10. კამერა– დიდი განივცვეთისა და მცირე სიგრძის გვირაბი.
11. მთავარი განიავების ვენტილატორი – გვირაბის ექსპლუატაციის პერიოდში მთლიანი გვირაბის ან მისი ნაწილის (ფრთის, ბლოკის) გასანიავებელი ვენტილატორი.
12. დამხმარე განიავების ვენტილატორი – მომიჯნავე მოსამზადებელი გვირაბის გასანიავებელი ვენტილატორი.
13. მავნე აირები – აირები, რომლებმაც შეიძლება გამოიწვიოს აფეთქება ან ადამიანის მოწამვლა.
14. ელექტრული სქემა – ელექტრული წრედის ელემენტთა ურთიერთკავშირის გრაფიკული გამოსახულება.
15. თვითმაშველი– მიწისქვეშა ავარიის (აფეთქება, ხანძარი, აირის უეცარი გამოტყორცნა, ჩამოქცევა) შემთხვევაში ადამიანის სუნთქვისათვის უვარგის გარემოში ინდივიდუალური დაცვისათვის ერთჯერადი გამოყენების აპარატი.
16. რესპირატორი– მომწამვლელი აირების და მტვრის მავნე ზემოქმედებისაგან ადამიანის სასუნთქიორგანოების ინდივიდუალური დამცავი მოწყობილობა.
17. სავენტილაციო ჭავლის რევერსია (შექცევა)-გვირაბში ჰაერის მოძრაობის მიმართულების საწინააღმდეგოზე ხელოვნური შეცვლა.
18. სამთო-სამაშველო სამსახური (შემდგომ-სამაშველო სამსახური)– ობიექტის შემადგენლობაში მყოფი ან სახელშეკრულებო საწყისებზე მოწვეული სპეციალური მოწყობილობით აღჭურვილი და საგანგებოდ მომზადებული სამსახური, რომლის დანიშნულებაა ობიექტზე ავარიის თავიდან აცილება, აგრეთვე, ავარიის შემთხვევაში ადამიანების გადარჩენა და ავარიის ლიკვიდაცია.
19. ტექნიკური ზედამხედველი – ობიექტის ხელმძღვანელის ინდივიდიალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დანიშნული სპეციალისტი, რომელიც პასუხისმგებელია გვირაბში პროექტის შესაბამისად სამუშაოების უსაფრთხო წარმოებაზე.
20. თანამდებობრივი ინსტრუქცია – ობიექტის მიერ დამტკიცებული ხელმძღვანელების და სპეციალისტების უფლება-მოვალეობებისა და პასუხისმგებ-ობის განმსაზღვრელი დოკუმენტი.
21. საწარმოო ინსტრუქცია – სპეციალურად შემუშავებული და ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული კონკრეტული სამუშაოს ჩატარების წესებისა და თანმიმდევრობის განმსაზღვრელი



თავი II

პერსონალი

მუხლი 3. ხელმძღვანელები და სპეციალისტები

- ობიექტზე სამუშაოების ტექნიკურ ხელმძღვანელებად დაიშვებიან პირები, რომლებსაც აქვთ უმაღლესი ტექნიკური, სამთო-ტექნიკური განათლება ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაიარეს სწავლება.
- ხელმძღვანელებს და სპეციალისტებს უნდა ჰქონდეს თანამდებობრივი ინსტრუქციები.
- ობიექტის ხელმძღვანელი ვალდებულია უზრუნველყოს რეგლამენტის და სამრეწველო უსაფრთხოების სფეროში სხვა ნორმატიულ-ტექნიკური დოკუმენტების მოთხოვნათა დაცვა.
- აკრძალულია დავალების გაცემა იმ ადგილებზე სამუშაოდ, სადაც დარღვეულია უსაფრთხოების მოთხოვნები, გარდა იმ დავალებისა, რომელიც ითვალისწინებს ამ მოთხოვნების აღმოფხვრას.
- ობიექტს უნდა ჰქონდეს ობიექტის გამართულ მდგომარეობაზე და უსაფრთხო ექსპლუატაციაზე პასუხისმგებელი ტექნიკური ზედამხედველი.

მუხლი 4. მომსახურე პერსონალი

- ობიექტზე მიწისქეებ სამუშაოდ დაშვებამდე მომსახურე პერსონალი უნდა გაეცნოს რეგლამენტს, აგრეთვე, მიწისქეება სამუშაოებთან დაკავშირებულ საწარმოო და თანამდებობრივ ინსტრუქციებს.
- წინასაგან განსხვავებულ ახალ სამუშაოზე დაშვებამდე მომსახურე პერსონალმა უნდა გაიაროს შესაბამისი ინსტრუქტაჟი და სწავლება უსაფრთხოების ტექნიკაში, ხანძარქრობის მეთოდებსა და პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევაში იმავე ტექნიკის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროგრამით. ინსტრუქტაჟი უნდა ჩატაროს ობიექტის ტექნიკურმა ზედამხედველმა და დააფიქსიროს უურნალში.
- მომსახურე პერსონალმა უნდა იცოდეს სამუშაო ადგილიდან ზედაპირზე მთავარი და სათადარიგო გასასვლელები.
- მომსახურე პერსონალი სამუშაო ადგილზე მუშაობის დაწყებამდე უნდა დარწმუნდეს გვირაბის ჭერის, გვერდების და სამაგრების უსაფრთხო მდგომარეობაში, აგრეთვე, დამცავი საშუალებების, ვენტილაციის გამართულობაში. გვირაბში, სადაც დარღვეულია უსაფრთხოების მოთხოვნები, აკრძალულია ადამიანების ყოფნა, აგრეთვე, იმ სამუშაოების წარმოება, რომლებიც არ არის დაკავშირებული გამოვლენილი დარღვევების აღმოფხვრასთან.
- ახალი ტექნოლოგიური პროცესების დანერგვისას, აგრეთვე, ტექნიკური მოთხოვნების შეცვლის ან უსაფრთხოების ტექნიკის ახალი ინსტრუქციების შემოღებისას, მომსახურე პერსონალმა უნდა გაიაროს ინსტრუქტაჟი ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დადგენილ ვადებში.
- მომსახურე პერსონალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ჩაჩქანით, სპეცტანსაცმლით, ფეხსაცმლით, ხელთათმანებით და სხვა დამცავი საშუალებებით.
- სამეცნიერო დაწესებულების, სამშენებლო, სამონტაჟო და სარემონტო ორგანიზაციის წარმომადგენლები გვირაბში დაიშვებიან მხოლოდ ობიექტის ხელმძღვანელის ნებართვის საფუძველზე, უსაფრთხოების ტექნიკაში შესაბამისი ინსტრუქტაჟის და ქცევის წესების გაცნობის შემდეგ.

მუხლი 5. პასუხისმგებლობა

რეგლამენტის დამრღვევი პირები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი III

ზოგადი მოთხოვნები ობიექტის მიმართ



მუხლი 6. დაპროექტება, მშენებლობა, ექსპლუატაციაში მიღება

1. ობიექტის დაპროექტების და მშენებლობის დროს გათვალისწინებული უნდა იქნეს შენობის, ნაგებობის და კომუნიკაციების ქვეშ მათი განთავსებისას მიწისქვეშა და მიწისზედა ობიექტების ერთმანეთზე შესაძლო გავლენის მომხდენი მავნე შედეგების თავიდან ასაცილებელი ღონისძიებები.
2. ობიექტის მშენებლობის (რეკონსტრუქციის) პერიოდში ახალი გვირაბის გაყვანასთან დაკავშირებული სამუშაოები (მათ შორის, გვირაბის ზომებისა და ფორმის და საყრდენი მთელანების შეცვლა), აგრეთვე, გვირაბის კვლავმაგრების სამუშაოები უნდა შესრულდეს საამფეთქებლო სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნათა შესაბამისად.
3. მშენებარე და მოქმედ ობიექტზე სატელეფონო კავშირის გარდა მოწყობილი უნდა იყოს სპეციალური ავარიული სიგნალიზაცია.
4. აკრძალულია ობიექტის ექსპლუატაციაში მიღება, თუ სრულად არა დაცული უსაფრთხოების ტექნიკის, საწარმოო სანიტარიისა და სახანძრო უსაფრთხოების ნორმები.

მუხლი 7. ექსპლუატაცია

1. მიწისქვეშა გვირაბის ექსპლუატაციისას დაცული უნდა იქნეს გვირაბის გამაგრებასთან, ტრანსპორტის ექსპლუატაციასთან, განიავებასა და ელექტრომომარაგებასთან დაკავშირებული უსაფრთხოების მოთხოვნები, აგრეთვე, ავარია- და ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებები.
2. მიწისქვეშა გვირაბის და ბუნებრივი გამოქვაბულის (შემდგომ – გვირაბი) ექსპლუატაციისას დაწესებული უნდა იყოს მუდმივი კონტროლი გვირაბის თავზე განლაგებული შენობებისა და ნაგებობების უსაფრთხო მდგომარეობასა და ექსპლუატაციაზე.
3. ობიექტის ორ და მეტ ჰორიზონტზე განლაგებისას, აგრეთვე, ვერტიკალური (დახრილი) ჭაურის, შახტის ამწევი მექანიზმის არსებობისას, ამ ჭაურის, ამწევი მექანიზმის ექსპლუატაცია, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა და თითოეული ჰორიზონტიდან ზედაპირზე გამოსასვლელის მოწყობა უნდა შეესაბამებოდეს ნახშირის შახტების უსაფრთხოების შესახებ ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნებს.
4. ობიექტზე მიწისქვეშა ტრანსპორტის ექსპლუატაცია უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული ნორმატიული აქტის შესაბამისად.
5. ობიექტის მოსარგებლე ვალდებულია ობიექტის მშენებლობის (რეკონსტრუქციის), ექსპლუატაციის და ექსპლუატაციიდან გამოყვანის ყველა ეტაპზე ობიექტი უზრუნველყოს მის მიერ შექმნილი სამაშველო სამსახურის ან სახელშეკრულებო საწყისებზე მოწვეული სპეციალიზებული სამაშველო სამსახურის მომსახურებით.
6. დასაშვებია სამაშველო სამსახურის გარეშე იმ ცალკეული მცირე ობიექტის ექსპლუატაცია, რომლის გვირაბის სიგრძე არ აღემატება 100 მ-ს და მომსახურე პერსონალის რაოდენობა - 3 ადამიანს.
7. მიწისქვეშა გვირაბის ტრასა დაყოფილი უნდა იყოს შესასვლელიდან გვირაბის სიგრძის მაჩვენებელ პიკეტებად, რომელთა ნომრის მაჩვენებლები, ტრასის გასწვრივ თვალსაჩინო ადგილას, მყარად უნდა იყოს დამაგრებული. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს გვირაბის დღისეულ ზედაპირზე გამოსასვლელი მიმართულების მაჩვენებელი ნიშნების თვალსაჩინო ადგილზე განთავსება.
8. ექსპლუატაციაში არსებულ ობიექტზე უნდა განხორციელდეს მიწისქვეშ მყოფი (ჩასული) და ზედაპირზე გამოსული ადამიანების აღრიცხვა. აღრიცხვის წარმოების წესს ადგენს ობიექტის ხელმძღვანელი.
9. პირები, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი მიწისქვეშა სამუშაოებთან, ობიექტზე დაიშვებიან მხოლოდ მისი ხელმძღვანელის ნებართვით და ტექნიკური ზედამხედველის თანდასწრებით.
10. ობიექტზე, რომელიც გათვალისწინებულია დამთვალიერებელთათვის (საგამოფენო, სადეგუსტაციო დარბაზი, გამოქვაბული და სხვ.), პაციენტებისათვის (სამკურნალო დაწესებულება), ობიექტის ხელმძღვანელის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს გვირაბში დამთვალიერებელთა, აგრეთვე, პაციენტთა ქცევის წესები.
11. მიწისქვეშ ექსკურსიაზე მყოფი, აგრეთვე, სამკურნალო ადგილებამდე ან სხვა მიზნით ადამიანების შესვლა



აკრძალულია ექსკურსიამძღოლის ან ტექნიკური ზედამხედველის წევართვის გარეშე, რომელიც დაფიქსირებული უნდა იყოს სპეციალურ ჟურნალში. მიწისქვეშ დამთვალიერებელთა, პაციენტთა ყოფნისას მათი სავალი გზის სიახლოვეს რაიმე სამუშაოების ჩატარება აკრძალულია.

12. მოქმედი შახტის (მაღაროს) გვირაბში (სადაც არ წარმოებს სამთო სამუშაოები) ობიექტის განთავსებისას, შახტის (მაღაროს) და ობიექტის ხელმძღვანელობის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული უნდა იქნეს მათი ერთობლივი ექსპლუატაციის უსაფრთხოების უზრუნველყოფი ღონისძიებები.

13. გვირაბში (სათავსში) მავნე აირების გამოყოფისა და სამთო-გეოლოგიური პირობების გაუარესების (წნევის გაძლიერება, წყლის მოდინების მატება და სხვ.) დროს ყველა სამუშაო უნდა იქნეს შეჩერებული, ხოლო ადამიანები – ევაკუირებულნი ობიექტის უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანამდე.

14. სამუშაო ადგილებზე ჰაერის მტვრიანობა არ უნდა აღემატებოდეს სანიტარული ნორმებით დადგენილ სიდიდეებს. ყველა შემთხვევაში, როდესაც ჰაერის მტვრიანობა გვირაბში აღემატება დასაშვებ ნორმებს, მიღებული უნდა იქნეს ზომები უსაფრთხო პირობების უზრუნველსაყოფად.

15. გვირაბის პორტალთან ან ჭაურთან ბაქნებს უნდა ჰქონდეს გამართულ მდგომარეობაში მყოფი მისასვლელი გზები ავტოტრანსპორტის და სამშენებლო მანქანების სამოძრაოდ, აგრეთვე, ადამიანებისათვის უსაფრთხო გასასვლელები.

16. პორტალის და ჭაურის მიმდებარე ბაქნები, გზები, მისასვლელები, გასასვლელები, ესტაკადები, დატვირთვისა და განტვირთვის ადგილები, აგრეთვე, ობიექტის სათავსები, გვირაბები, შტოლნები, გამოქვაბულები უნდა იყოს განათებული.

17. ზვავსაშიშ რაიონებში და შესაძლო ჩამონაშალის უბნებზე ობიექტის მოწყობისას გათვალისწინებული და განხორციელებული უნდა იქნეს ზვავისა და ქვების ცვენისაგან დაცვის ღონისძიებები, ხოლო მდინარეების და წყალსატევების ქვეშ ობიექტის ექსპლუატაციისას, მიღებული უნდა იქნეს უსაფრთხოების სპეციალური ზომები წყლის უცარი გამოხეთქის თავიდან ასაცილებლად.

18. სამუშაოთა წარმოების ადგილებში, აგრეთვე, ავარიის ლიკვიდაციის გეგმით გათვალისწინებულ ადგილებშიუნდა იყოს სატელეფონო კავშირი (საექსკურსიო მარშრუტებზე, სამკურნალო უბნებზე, ელექტროსამანქანო კამერებში და სხვ.). ყველა სატელეფონო ხაზი უნდა იყოს ორსადენიანი.

19. აკრძალულია გვირაბში თამბაქოს მოწევა და სპეციალური პროექტის გარეშე ღია ცეცხლით სამუშაოების ჩატარება.

20. გვირაბის ის ადგილები, სადაც ადამიანების ჩავარდნის საფრთხეა, უნდა შემოიფარგლოს მაფრთხილებელი ნიშნებით.

21. აკრძალულია მიწისქვეშა ნაგებობებში წვადი სითხეების და წვადი აირიანი ბალონების შენახვა.

მუხლი 8. ავარიის ლიკვიდაციის გეგმა

1. ობიექტისათვის, თავისი ბუნებრივი და ექსპლუატაციის პირობებიდან, აგრეთვე, კონსტრუქციული თავისებურებიდან გამომდინარე, შედგენილი უნდა იქნეს ავარიის ლიკვიდაციის გეგმა საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი სტანდარტის (შემდგომში-სტანდარტი) მოთხოვნათა შესაბამისად.

2. ავარიის ლიკვიდაციის გეგმას ადგენს და ამტკიცებს ობიექტის ხელმძღვანელი.

3. რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებულ მცირე ობიექტზე ავარიის ლიკვიდაციის გეგმის ნაცვლად, ავარიული სიტუაციის შემთხვევისათვის შესაძლებელია ობიექტის ხელმძღვანელის მიერ შედგენილ და დამტკიცებულ იქნეს ევაკუაციის გეგმა.

4. ობიექტზე მომუშავე პირები გაცნობილი უნდა იყვნენ ავარიის ლიკვიდაციის ან ევაკუაციის გეგმას და იცოდნენ ავარიის შემთხვევაში პირადი მოქმედების წესები.

5. აკრძალულია ობიექტზე სამუშაოდ იმ პირების დაშვება, რომლებიც არ არიან გაცნობილნი ავარიის ლიკვიდაციის ან ევაკუაციის გეგმას.



მუხლი 9. თვითმაშველი

1. ობიექტზე ცვლაში მომუშავე პერსონალის და სამკურნალოდ მყოფი პაციენტების რაოდენობაზე დამოკიდებულებით უნდა იყოს ჯგუფური შენახვის თვითმაშველები. ამასთან, გათვალისწინებული უნდა იქნეს საერთო რაოდენობის 10% სარეზერვო, მაგრამ, სულ ცოტა, ორი თვითმაშველი.
2. ჯგუფური შენახვის თვითმაშველები უნდა ინახებოდეს სამუშაოთა წარმოების (სამკურნალოდ მყოფი პაციენტების ყოფნის) ადგილებში, მათი დაცულობის უზრუნველყოფით პირობებში. თვითმაშველების შენახვის ადგილი ცნობილი უნდა იყოს მიწისქვეშ მყოფი ყველა ადამიანისათვის.
3. პერსონალს, რომლის სამუშაო ადგილი არ არის მუდმივი, უნდა ჰქონდეს ინდივიდუალურად განპირობებული თვითმაშველი.
4. თვითმაშველების შემოწმება გამართულობაზე სამაშველო სამსახურის წარმომადგენლის მიერ უნდა მოხდეს კვარტალში ერთხელ ჯგუფური შენახვისას და თვეში ერთხელ – ინდივიდუალური მოხმარებისას. შემოწმების შედეგები უნდა აისახოს აქტში.

მუხლი 10. მანქანები, მექანიზმები, დანადგარები

1. მანქანის, მექანიზმისა და დანადგარის ყველა ღია მოძრავი ნაწილი (ქუროები, გადაცემები, ბორბლები და სხვ.) საიმედოდ უნდა იყოს შემოღობილი დამცავი ზღუდარით, რაც გამორიცხავს ადამიანების ტრავმირების საშიშროებას.
2. ელექტროენერგიის მიწოდების უეცარი შეწყვეტისას მანქანის, მექანიზმის და დანადგარის მოძრაობაში მოყვანი ძრავას გამორთვა ქსელიდან უნდა მოხდეს მინიმალური ძაბვის დაცვით და მომსახურე პერსონალის ჩარევით.
3. აკრძალულია გაუმართავ მდგომარეობაში მყოფი მანქანის, მექანიზმის და დანადგარის ობიექტზე გამოყენება, აგრეთვე, მუშაობის დროს მათი გაწმენდა და შეზეთვა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც არსებობს ამ სამუშაოების უსაფრთხოების უზრუნველყოფით სპეციალური მოწყობილობა.
4. მანქანის, მექანიზმის და დანადგარის ამუშავებისას და მუშაობის დროს დაცული უნდა იქნეს მომსახურე პერსონალის სრული უსაფრთხოება. მათი გამოყენება უნდა შეესაბამებოდეს ქარხანა-დამამზადებლის ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

თავი IV

გვირაბის შენახვა, ვენტილაცია

მუხლი 11. მოთხოვნები გვირაბის გამაგრებისას

1. ობიექტზე პერიოდულად, მაგრამ თვეში ერთხელ მაინც, უნდა შემოწმდეს გვირაბის სამაგრების მდგომარეობა.
2. სამაგრის გარეშე გამოყენებულ გვირაბში პერიოდულად უნდა მოხდეს ჭერის და გვერდების მდგრადობის შემოწმება, ხოლო აუცილებლობისას – აშრევებული ქანის ჩამოყრა. აშრევებული ქანის ჩამოყრა უნდა მოხდეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მიერ.
3. გვირაბის სამაგრის, ჭერის და გვერდების შემოწმება დამთვალიერებელთა, პაციენტების მარშრუტის მიხედვით, აგრეთვე, მათი დროებითი ყოფნის ადგილებში, უნდა მოხდეს ობიექტზე დაშვების წინ.
4. გვირაბის ჭერიდან და გვერდებიდან აშრევებული ქანის ნატეხების, აგრეთვე, დარღვეული სამაგრების აღმოჩენისას, ასეთ უბნებზე სამუშაოები (ადამიანების ყოფნა) უნდა შეჩერდეს. სამუშაოს განახლება დასაშვებია მხოლოდ გვირაბის უსაფრთხო მდგომარეობაში მოყვანის და სათანადო დასკვნის შემდეგ.
5. გვირაბის გადამაგრებისას გამოყენებული მასალა და ნაკეთობა უნდა შეესაბამებოდეს გვირაბის გამაგრების პასპორტის მონაცემებს.
6. გვირაბის გადამაგრებისას გვირაბის სამაგრის უკან სიცარიელეს წარმოქმნისას ის უნდა ამოიყოროს, ხოლო იმ გვირაბში, რომელიც საშიშია აირების შრისებრი დაგროვების მხრივ, უნდა მოხდეს სამაგრის უკან



სიცარიელეს დატამპონება. დაუშვებელია გვირაბის ცეცხლმედეგი სამაგრის უკან სიცარიელეს შესავსებად წვადი მასალის გამოყენება.

7. გვირაბის დეფორმირებული უბნების სამაგრი კონსტრუქციის გამოტანა უნდა მოხდეს მექანიზებული წესით ან აფეთქებით.
 8. გვირაბში მოწყობილობის გადატანის, მონტაჟის, აგრეთვე, სამაგრის დეფორმაციის ან მისი დეტალების დაკარგვის შედეგად მწყობრიდან გამოსული სამაგრი უნდა იქნეს აღდგენილი ან შეცვლილი.
 9. გვირაბის ჭერში ან გვერდებში ბზარების წარმოქმნისას მათზე ტექნიკური ზედამხედველის მიერ დაწესებული უნდა იქნეს მეთვალყურეობა მასივის საშიში დეფორმაციის განსაზღვრის უზრუნველმყოფი “ნიშნულების” ან სხვა საშუალებების დახმარებით.
 10. ჩამონაქცევიდან ქანის აღება და სამაგრის აგება უნდა მოხდეს ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული პროექტის შესაბამისად, რომელსაც ხელმოწერით უნდა გაეცნოს ამ სამუშაოებით დაკავებული პერსონალი და ტექნიკური ზედამხედველი.
 11. გვირაბის განივი კვეთის გადიდების ან უვარგისი სამაგრის შეცვლის მიზნით გვირაბის გადამაგრებისას აკრძალულია ერთდროულად ორზე მეტი ჩარჩოს (თაღის) ამოღება. ამოსაღები ჩარჩოების (თაღების) წინა და უკანა ჩარჩოები (თაღები) დროებით უნდა გაძლიერდეს განმბჯენებით ან ბაგირებით და ჩაიკეროს.
 12. აკრძალულია გვირაბის გადამაგრებისა და სარემონტო სამუშაოების ადგილების შემომღბავი შუქსიგნალების და მაფრთხილებელი ნიშნების მოხსნა სამუშაოების მთლიანად დამთავრებამდე და სავალი გზის მდგომარეობის შემოწმებამდე.
- ## მუხლი 12. გვირაბის ჰაერი და სავენტილაციო ქსელი
1. გვირაბის გასანიავებლად საჭირო ჰაერის რაოდენობა განსაზღვრული უნდა იქნეს ნახშირორჟანგის, მიწისქვეშა სამუშაოებზე ერთდროულად დაკავებული ადამიანების მაქსიმალური რიცხვის, შიგაწვისძრავიანი მოწყობილობის გამოყენებით გამონაბოლქვი აირების მავნე კომპონენტების და ტოქსიკური და მავნე აირების სხვა შესაძლო გამოყოფის მიხედვით, აგრეთვე, ჰაერის მოძრაობის მინიმალური სიჩქარის მიხედვით.
 2. ჟანგბადის შემცველობა (მოცულობითი) იმ გვირაბის ჰაერში, სადაც იმყოფებიან ან შეიძლება იმყოფებოდნენ ადამიანები, უნდა შეადგენდეს, სულ ცოტა, 20%-ს, ხოლო მავნე აირების კონცენტრაცია არ უნდა აღემატებოდეს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული წესით დადგენილ ზღვრულად დასაშვებ სიდიდეებს.
 3. ობიექტის სათავსებში სამუშაო ადგილებზე ჰაერის შედგენილობის გასაკონტროლებლად ჰაერის სინჯის აღება უნდა მოხდეს სამაშველო სამსახურის მიერ, ამ უკანასკნელთან შეთანხმებული და ობიექტის ხელმძღვანელის მიერ დამტკიცებული გეგმის მიხედვით.
 4. ჰაერის სინჯის აღებასთან ერთად უნდა წარმოებდეს ჰაერის ხარჯის, ტემპერატურის, აგრეთვე, გვირაბში მავნე აირების საშუალო კონცენტრაციის გაზომვა. გვირაბის აირსიუხვის განსაზღვრა უნდა მოხდეს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნული წესის შესაბამისად.
 5. სამანქანო და სატრანსფორმატორო კამერების განიავება უნდა მოხდეს სუფთა ჰაერის ჭავლით. ამასთან, 6 მ-მდე სიგრძის კამერის განიავება დასაშვებია დიფუზიის ხარჯზე, მასში არანაკლებ 1.5 მ სიგანის შესასვლელის დროს. ცალკეულ შემთხვევებში ასეთი კამერის მოწყობა დასაშვებია გამომავალ ჭავლზე იმ პირობით, რომ მავნე აირების შემცველობა არ აღემატება დადგენილ ნორმებს.
 6. 10 მ-ზე მეტი სიგრძის ჩიხური გვირაბის განიავება დიფუზიით აკრძალულია.
 7. დანადგარს, რომლის ექსპლუატაციის პროცესში წარმოიქმნება მტვერი, უნდა ჰქონდეს გამართულად მოქმედი ამტვერების საწინააღმდეგო (მტვერსაჭერი) მოწყობილობა.
 8. სავენტილაციო მოწყობილობის (კარი, ზღუდარი, კროსინგი, რაბი), ადგილობრივი განიავების ვენტილატორების განლაგებაში, სავენტილაციო ჭავლების მიმართულებასა და ხარჯში მომხდარი ცვლილებები უნდა აღინიშნოს განიავების სქემაზე 24 სთ-ის განმავლობაში.
 9. განიავების სქემაზე დატანილი უნდა იქნეს ვენტილატორის დაყენების ადგილი, მისი ტიპი, ჰაერის



ფაქტობრივი და ნომინალური მიწოდება (მ³/წთ), სუფთა და ნამუშევარი სავენტილაციო ჭავლის მიმართულება, აგრეთვე, ჭაურები, რომელთა მეშვეობითაც ხდება სუფთა ჭავლის მიწოდება და ნამუშევარი ჰაერის გამოშვება ზედაპირზე.

მუხლი 13. სავენტილატორო დანადგარი

1. ობიექტზე გათვალისწინებული უნდა იქნეს მიწისქვეშა გვირაბების და სათავსების ხელოვნური ვენტილაცია ზედაპირზე დაყენებული სავენტილატორო დანადგარის მეშვეობით.
2. 30 წთ-ზე მეტი ხნით გვირაბის განიავების შეწყვეტისას ადამიანები ობიექტიდან გაყვანილი უნდა იქნენ ზედაპირზე.
3. გამოქვაბულში, სადაც ხელოვნური განიავების გამოყენებამ შეიძლება გამოიწვიოს ბუნებრივი ეკოსისტემის დარღვევა, დასაშვებია ბუნებრივი განიავება.
4. ობიექტის მიწისქვეშა გვირაბებში ადგილობრივი განიავების სავენტილატორო დანადგარის დაყენება უნდა შეესაბამებოდეს მის საპროექტო მონაცემებს. ამასთან, ვენტილატორის მწარმოებლურობა არ უნდა აღემატებოდეს ობიექტზე წნევათა სხვაობის ხარჯზე მიწოდებული ჰაერის რაოდენობის 70%-ს. ვენტილატორი უნდა დაიდგას სუფთა ჰაერის ჭავლზე, გამომავლი ჭავლიდან, სულ ცოტა, 10 მ მანძილზე ისეთი გაანგარიშებით, რომ არ მოხდეს გამომავალი ჭავლიდან ჰაერის უკან შეწოვა.
5. დამოუკიდებელი განიავების მქონე მომიჯნავე ობიექტები, რომლებიც ერთმანეთთან დაკავშირებული არიან ერთი ან რამდენიმე მიწისქვეშა გვირაბით, ერთმანეთისგან იზოლირებული უნდა იყოს მყარი სავენტილაციო მოწყობილობით (სავენტილაციო კარი, ზღუდარი, რაბი და სხვ.), ან თითოეული ობიექტის ყველა გვირაბი ჩართული უნდა იყოს საერთო სავენტილაციო სისტემაში. ასეთი ობიექტებისათვის შედგენილი უნდა იქნეს, აგრეთვე, ავარიის ლიკვიდაციის ერთიანი გეგმა.
6. სავენტილატორო დანადგარის უეცარი გაჩერებისას, რომელიც გამოწვეულია მისი გაუმართაობით ან ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტით, დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს საწარმოს ტექნიკურ ზედამხედველს. შეტყობინების მიღების შემთხვევაში ტექნიკური ზედამხედველი ვალდებულია დროულად მიიღოს ზომები გვირაბში მყოფი ადამიანების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.
7. რევერსირების მოწყობილობის (თუ ეს გათვალისწინებულია პროექტით) მდგომარეობა უნდა იყოს ისეთი, რომ რევერსირების მოწყობილობის ჩართვისას გვირაბში სავენტილაციო ჭავლის მოძრაობის მიმართულების შეცვლა მოხდეს, არაუმეტეს, 10 წთ-ის შემდეგ.
8. გვირაბში სავენტილაციო ჭავლის რევერსირებისას რაიმე სამუშაოს ჩატარება აკრძალულია.

თავი V

ტრანსპორტი

მუხლი 14. ადამიანების გადაყვანა

1. მიწისქვეშ ადამიანების გადასაყვანად გამოყენებული უნდა იქნეს მხოლოდ ამ მიზნისათვის სპეციალურად გათვალისწინებული ქარხნული დამზადების მოწყობილობა.
2. სატრანსპორტო საშუალებაში ადამიანების ჩასხდომის (გადმოსხმის) ადგილები უნდა იყოს განათებული.
3. ადამიანების გადაყვანის დროს სატრანსპორტო საშუალების მსვლელობისას აკრძალულია მასში ჩასხდომა (გადმოსვლა).
4. სატრანსპორტო საშუალებაში (ვაგონი, მანქანა), აგრეთვე, ადამიანების ჩასხდომის (გადმოსხმის) ადგილებში გამოკრული უნდა იყოს მგზავრების ქცევის წესები.
5. ადამიანების გადასაყვანად განკუთვნილ სატრანსპორტო საშუალებით დასაშვებია ხელსაწყოების, ინსტრუმენტებისა და სათადარიგო ნაწილების გადატანა, თუ მათი გაბარიტები არ აღემატება სატრანსპორტო საშუალების ზომებს.
6. სატრანსპორტო საშუალებისთვის განკუთვნილი გვირაბის მაქსიმალური დახრა გამოყენებული



ტრანსპორტის სახეობასა და ექსპლუატაციის პირობებზე დამოკიდებულებით დადგენილი უნდა იქნეს პროექტით. ასეთ გვირაბს უნდა ჰქონდეს მკვეთრი ბიძგების გარეშე ტრანსპორტის მომრაობის უზრუნველყოფი სწორი საგები გვერდი.

7. თუ გვირაბის საგები გვერდი შედგება არამდგრადი ქანებისაგან, ტრანსპორტის უსაფრთხო მომრაობის უზრუნველსაყოფად უნდა მოეწყოს გზის მყარი საფარი.

მუხლი 15. საგზაო ტრანსპორტი

1. მიწისქვეშა გვირაბში მუდმივად მომუშავე ტრანსპორტის მოწყობა და ექსპლუატაცია უნდა შეესაბამებოდეს რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტში აღნიშნულ მოთხოვნებს.

2. ობიექტის გვირაბში დასაშვებია გარეშე ორგანიზაციის ავტოსატრანსპორტო საშუალების შესვლა იმ შემთხვევაში, თუ შემუშავებული და გათვალისწინებულია უსაფრთხოების დამატებითი ღონისძიებები. ღონისძიებები უნდა დამტკიცდეს ობიექტის ხელმძღვანელის მიერ და მათი შესრულება სავალდებულოა გარეშე ორგანიზაციის პირთათვის ობიექტზე ყოფნის დროს.

3. ობიექტზე ტრანსპორტის მოძრაობა გათვალისწინებული უნდა იქნეს მოძრაობის მარშრუტის სქემის მიხედვით, მოსახვევების, გაჩერებების, შესასვლელებისა და გამოსასვლელების აღნიშვნით. სატრანსპორტო გვირაბის გადაკვეთის ადგილებში მიღებული უნდა იქნეს მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფი ზომები.

4. მიწისქვეშა პირობებში ამწე-სატრანსპორტო მანქანების (ელექტროსატვირთველი, ელექტროურიკა, შტაბელერი, ელექტროსაწვევი და სხვ.) ექსპლუატაცია უნდა შეესაბამებოდეს მათი ქარხანა-დამაზრადებლის ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნებს.

5. ობიექტზე ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობის სიჩქარე აღნიშნული უნდა იყოს ტრანსპორტის თითოეული სახეობისათვის დადგენილი მაფრთხილებელი ნიშნით.

6. გვირაბში სატრანსპორტო საშუალების მოძრაობის დასაშვები სიჩქარე არ უნდა აღემატებოდეს 20 კმ/სთ-ს.

მუხლი 16. სამილსადენო და საკონვეირო ტრანსპორტი

1. გვირაბში თხევადი, აირადი და სხვა პროდუქტების (ღვინომასალები, კვების პროდუქტები და სხვ.) ტრანსპორტირებაზე დამოკიდებულებით მილსადენის და საკონვეირო ტრანსპორტის მოწყობა და ექსპლუატაცია უნდა შეესაბამებოდეს პროექტის მიხედვით დადგენილ უსაფრთხოების მოთხოვნებს.

2. მილსადენზე მოწყობილი ონკანები, ვენტილები და სხვა ჩამკეტი მოწყობილობა მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში და უზრუნველყოფდეს პროდუქციის საჭირო მიმართულებით საიმედო და სწრაფ გადაადგილებას. ჩამკეტი მოწყობილობის ნებისმიერი გაუმართაობა სასწრაფოდ უნდა აღმოიფხვრას.

3. აკრძალულია მილსადენის რემონტი, კონვეიერის გაწმენდა და მისი მოძრავი ნაწილების შეზეთვა მათი მუშაობისას, კონვეიერის მეშვეობით ადამიანების გადაყვანა, ხე-ტყის და ზომაზე მეტად გრძელი მასალების გადატანა.

4. ერთ-ერთი კონვეიერის გაჩერების შემთხვევაში უზრუნველყოფილი უნდა იქნეს საკონვეიერო ხაზის ყველა სხვა კონვეიერის ერთდროული ავტომატური გაჩერება, აგრეთვე, კონვეიერის ამძრავის ავტომატური გაჩერება ელექტროძრავას, კონვეიერის მექანიკური ნაწილის გაუმართაობისას, დამამიწებელი ძარღვის გაწყვეტისას.

5. თუ გვირაბში საკონვეიერო დანადგარის დახრის კუთხე 6^0 -ზე მეტია, დანადგარი აღჭურვილი უნდა იყოს სამუხრუჭო მოწყობილობით.

6. ლენტური კონვეიერის ამძრავ და დამჭიდმ, აგრეთვე, ჩამტვირთავ და განმტვირთავ მოწყობილობას უნდა ჰქონდეს ადამიანების ტრავმირების თავიდან ასაცილებელი შემოღობვა.

თავი VI

ელექტროტექნიკური მეურნეობა

მუხლი 17. ზოგადი მოთხოვნები



1. გვირაბში გამოყენებულმა ელექტრომოწყობილობამ, კაბელებმა და ელექტრომომარაგების სისტემამ უნდა უზრუნველყოს გვირაბში მყოფი ადამიანების ელექტროუსაფრთხოება, აგრეთვე, აფეთქება- და ხანძარუსაფრთხოება.

2. ობიექტს უნდა ჰქონდეს მიწისქვეშა ელექტრომოწყობილობის ელექტრომომარაგების სქემა. სქემაზე აღნიშნული უნდა იყოს ელექტრომოწყობილობის ტიპი და დაყენების ადგილი, კაბელების კვეთი და სიგრძე, თითოეული დანადგარის ძაბვა და სიმძლავრე, აგრეთვე, მთავარი დამამიწებლის დაყენების ადგილი.

3. ელექტროდანადგარში ცვლილება აღნიშნული უნდა იყოს სქემაზე ერთი დღე-ღამის განმავლობაში.

4. აკრძალულია მიწისქვეშა პირობებში ყრუ დამიწების ნეიტრალიანი ტრანსფორმატორების ქსელის გამოყენება. გამონაკლისია სპეციალური ტრანსფორმატორი, რომელიც გამოიყენება ელმავლის საკონტაქტო ქსელის გარდამექმნელი მოწყობილობის კვებისთვის. ასეთ ტრანსფორმატორთან სხვა მომხმარებლების და მოწყობილობის მიერთება აკრძალულია.

5. ელექტროდენის დაზიანებისაგან ადამიანების დაცვა უნდა მოხდეს დამიწების, ხოლო 1000 ვ-მდე ძაბვის ქსელებში – აგრეთვე, დაზიანებული ქსელის ავტომატური გამორთვის უზრუნველყოფი დენის გაუზონვის რელეს გამოყენებით. დაზიანებული ქსელის გამორთვის საერთო დრო არ უნდა აღემატებოდეს 0,2 წმ-ს.

6. სანათების კვებისათვის გათვალისწინებული უნდა იქნეს ცვლადი ან მუდმივი დენის წყარო, არა უმეტეს 220 ვ ძაბვით, ავარიული და საევაკუიციო განათების კვებისათვის – არა უმეტეს 42 ვ, ხოლო სარემონტო განათების კვებისათვის – 12 ვ.

7. აკრძალულია:

ა) ელექტრომოწყობილობის ექსპლუატაცია გაუმართავი ბლოკირების, დამიწების, დაცვის აპარატის, დაზიანებული მართვის და დაცვის სქემების და კაბელების შემთხვევაში;

ბ) გამოუყენებელი (სარეზერვოს გარდა) ელექტრული ქსელის ძაბვის ქვეშ დატოვება;

გ) ელექტრომოწყობილობის გარსის ხუფების გახსნა ძაბვის წინასწარი მოხსნის გარეშე;

დ) ელექტროჭსელის ჩართვა კაბელის ძარღვების იზოლაციის დაზიანებისა და შლანგური გარსის გაგლეჯის შემთხვევაში;

ე) 1000 ვ-ზე მეტი ძაბვის მქონე ელექტრომოწყობილობის მომსახურება დამცავი საშუალებების (დიელექტრიკული ხელთათმანები, ფეხსაცმელი ან იზოლირებული ქვესადგამი) გარეშე;

ვ) ძაბვის ქვეშ მყოფი ელექტრომოწყობილობის ნაწილის და კაბელის რემონტი, ელექტრომოწყობილობის და ელექტროსაზომი ხელსაწყოების მიერთება და ჩახსნა.

8. დასაშვებია 42 ვ-მდე ძაბვის ელექტრომოწყობილობის და სატელეფონო კავშირის აპარატურის ექსპლუატაცია გაუზონვის რელეს დაცვის გარეშე.

9. ობიექტის ელექტრომეურნეობაზე ზედამხედველობა და კონტროლი უზრუნველყოფილი უნდა იყოს რეგლამენტის მოთხოვნათა შესაბამისად.

მუხლი 18. ელექტროგაყვანილობა

1. გვირაბში ელექტროენერგიის გადასაცემად და გასანაწილებლად გამოყენებული უნდა იქნეს სპილენძის ან ალუმინის კაბელი დამცავი, უწვავი გარსაცმით. აფეთქებასაშიშ გარემოში აკრძალულია ალუმინის ძარღვიანი ან ალუმინის გარსიანი ნებისმიერი დანიშნულების კაბელის (ძალური, საკონტროლო და სხვ.) გამოყენება.

2. კაბელები გაყვანილი უნდა იქნეს მათი მექანიკური დაზიანების შესაძლებლობის გამომრიცხავ სიმაღლეზე.

3. ძალური და კავშირის კაბელები გაყვანილი უნდა იქნეს ცალ-ცალკე – გვირაბის სხვადასხვა კედლებზე. მათი გადაკვეთისას კაბელების ერთი ჯგუფი უნდა მოთავსდეს მილებში ან დაცალკევებული უნდა იყოს უწვავი ან მნელწვადი ტიხრებით.



4. აკრძალულია გვირაბის ერთ მხარეს ელექტროკაბელის და სავენტილაციო მილსადენის გაყვანა.

5. კაბელის საკიდები მოწყობილი უნდა იყოს ცალუღების, ჩანგლების ან სხვა მსგავსი საშუალებით. აკრძალულია ძაბვის ქვეშ მყოფი მოქნილი კაბელების დატოვება “ზეულების” და “რვიანების” მდგომარეობაში. აკრძალვა არ ვრცელდება უწვავგარსიან დაეკრანებულ კაბელზე, რომლის ექსპლუატაცია გათვალისწინებულია ხვეულად ან დოლზე. ამ შემთხვევაში დენური დატვირთვა ნომინალურთან შედარებით უნდა შემცირდეს 30%-ით.

6. აკრძალულია ელექტროძრავასთან და აპარატებთან კაბელის ძარღვების მიერთება ბუნიკების, სპეციალური გვირგვინა საყელურების ან კაბელის ძარღვის მავთულების დანაწევრების თავიდან ასაცილებელი სხვა ტოლფასი სამარჯვების გამოყენების გარეშე.

7. აკრძალულია კაბელის რამდენიმე ძარღვის მიერთება ერთ მომჭერთან (ამამუშავებელთან), თუ მომჭერის კონსტრუქციით ასეთი მიერთება არ არის გათვალისწინებული.

8. კაბელის მონაკვეთების გადაბმა უნდა ხდებოდეს ლითონის მასრებში ძარღვების შეერთებით. მოქნილი რეზინის კაბელის გადაბმის ადგილები ვულკანიზებული უნდა იქნეს ცხელი მეთოდით.

9. მოქნილი და ჯავშნიანი კაბელების ქუროებით შეერთება გათვალისწინებული უნდა იქნეს ისე, რომ გამჭიმავი ძალვის გადაცემა მოხდეს მხოლოდ კაბელის გარე გარსზე და არა დენგამტარ ნაწილებზე.

10. სავენტილაციო და ხანძარსაწინააღმდეგო კარების ზღუდარში კაბელების გაყვანისას, აგრეთვე, ელექტრომანქანურ კამერებსა და ქვესადგურებში კაბელების შემყვანები და გამომყვანები უნდა შესრულდეს ლითონის, ბეტონის და სხვა არაწვადი მილებით.

მუხლი 19. დამიწება

1. ნორმალურად ჩართულ მდგომარეობაში ძალვი ელექტრომოწყობილობის და ელექტროდანადგარის ლითონური ნაწილი, რომელიც იზოლაციის დარღვევის შემთხვევაში შესაძლებელია აღმოჩნდეს ძაბვის ქვეშ, აგრეთვე, ელექტრული დანადგარებით და გაყვანილობით აღჭურვილ გვირაბში განლაგებული მილსადენი უნდა იყოს დამიწებული.

2. დამიწების მიმართ მოთხოვნები უნდა შეესაბამებოდეს ელექტრომოწყობილობის მოწყობის მოთხოვნებს.

3. აკრძალულია დამამიწებელ გამტარში დანადგარების რამდენიმე დასამიწებელი ნაწილის მიმდევრობით ჩართვა.

4. გვირაბში გათვალისწინებული უნდა იქნეს დამიწების საერთო ქსელი, რომელზეც მიერთებული უნდა იყოს ყველა დასამიწებელი ობიექტი.

5. ძაბვის სიდიდის მიუხედავად, დამიწების საერთო ქსელი უნდა შეიქმნას ლითონური გარსის და კაბელის ჩასამიწებელი ძარღვების ერთმანეთთან უწყვეტი ელექტრული შეერთებით და მთავარ და ადგილობრივ დამამიწებლებთან მათი მიერთებით.

6. ძალური ჯავშნიანი კაბელის ყველა საკაბელო ქუროს უნდა ჰქონდეს გვირაბის დამიწების საერთო ქსელთან მიერთებული ადგილობრივი დამიწება. სტაციონარული განათებისათვის დასაშვებია ადგილობრივი დამიწების მოწყობა არა თითოეული ქუროსათვის, არამედ საკაბელო ქსელის ყოველი 100 მ-ის შემდეგ.

7. ტექნიკურმა ზედამხედველმა პერიოდულად უნდა დაათვალიეროს მთელი დამამიწებელი მოწყობილობა, აგრეთვე, გაზომოს დამამიწებელი მოწყობილობის საერთო წინაღობა, რაც არ უნდა აღემატებოდეს 2 ომს. დათვალიერების და გაზომვის შედეგები შეტანილი უნდა იქნეს სპეციალურ ჟურნალში.

თავი VII

მიწისქვეშა ხანძრის პროფილაქტიკა, ჩაქრობა და სამაშველო სამუშაოები

მუხლი 20. ცეცხლით სამუშაოების ჩატარება

1. ობიექტზე საშემდუღებლო და აირალიანი სამუშაოები უნდა შესრულდეს ობიექტის ხელმძღვანელის ნებართვით ტექნიკური ზედამხედველის მეთვალყურეობით.



2. საშემდუღებლო და აირალიანი სამუშაობის დამთავრების შემდეგ შედუღების და ჭრის ადგილი უნდა იყოს ტექნიკური ზედამხედველის ან სპეციალურად გამოყოფილი პირის მეთვალყურეობის ქვეშ, სულ ცოტა, 2 სთის განმავლობაში.

3. შედუღების ადგილზე 2 მ მანძილზე ხის ან სხვა წვადი მასალები დაცული უნდა იქნეს უწვავი მასალის ფურცლებით.

4. აალებადი მასალები (ზეთი, ძენძი, საწმენდი მასალები და სხვ.) შედუღების ადგილიდან მოცილებული უნდა იქნეს, სულ ცოტა, 10 მ-ით.

5. საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარების ადგილზე გათვალისწინებული უნდა იქნეს ორი ცეცხლსაქრობი მაინც ან, სულ ცოტა, 1 მ³ ტევადობის წყლის ავზი და ქვიშიანი ყუთი.

6. ხის მასალით გამაგრებულ გვირაბში საშემდუღებლო სამუშაოების ჩატარებისას, ხის კონსტრუქცია შედუღების ადგილიდან ორივე მხარეს, სულ ცოტა, 5 მ მანძილზე უნდა იყოს დატენიანებული.

7. იმ შემთხვევაში, როდესაც არ შეიძლება ელექტროშედუღებით სარგებლობა, დასაშვებია ნავთსაჭრელის გამოყენება, ამასთან, ეს უკანასკნელი აღჭურვილი უნდა იყოს უანგბადის შლანგში უკუდარტყმის გავრცელების თავიდან ასაცილებელი სარქველით.

8. ნავთსაჭრელი ავზის შევსება უნდა მოხდეს მხოლოდ გვირაბის გარეთ. მუშაობისას ნავთიანი ავზის დაშორება ცეცხლის წყაროდან უნდა იყოს, სულ ცოტა, 5 მ. იმ შემთხვევაში თუ დაშორება 5 მ-ზე ნაკლებია, ავზის წინ უნდა დაიდგას უწვავი მასალისაგან დამზადებული ეკრანი.

მუხლი 21. მიწისქვეშა ხანძრების თავიდან აცილება და ჩაქრობა

1. ხანძრის წარმოშობის შემთხვევაში ექსპლუატაციაში მყოფ, აგრეთვე, მშენებარე (რეკონსტრუირებად) ობიექტზე არსებულმა ხანძარსაწინააღმდეგო მოწყობილობამ და ხანძარქრობის საშუალებებმა (ხანძარსაწინააღმდეგო პროექტის შესაბამისად) უნდა უზრუნველყოს ხანძრის ეფექტური ლოკალიზაცია და მისი ჩაქრობა საწყის სტადიაში.

2. ხანძარსაწინააღმდეგო მასალებისა და მოწყობილობის შესანახად ობიექტის გვირაბში და ზედაპირზე (გვირაბში შესასვლელიდან არა უმეტეს 100 მ მანძილზე) მოწყობილი უნდა იყოს საწყობები.

3. აკრძალულიახანძარსაწინააღმდეგო საწყობში მოთავსებული მასალების გამოყენება იმ საჭიროებისათვის, რომელიც არ არის დაკავშირებული ავარიის ლიკვიდაციასთან.

4. ხანძრის ჩასაქრობად წყლის გამოყენებისას სახანძრო სახელოები განთავსებული უნდა იყოს სპეციალურ, დალუქულ ყუთებში.

5. საზეთი და საწმენდი მასალები (ჩვრები, სითხეები, ფხვნილები და სხვ.) უნდა ინახებოდეს სპეციალურ ადგილებზე დადგმულ სახურავიან ლითონის ტარაში (კასრი, ბიდონი, ყუთი). გამოყენებული ტარის ზედაპირზე გატანა უნდა მოხდეს ყოველდღიურად.

მუხლი 22. სამაშველო სამსახური

1. მიწისქვეშა სათავსებსა და ნაგებობებში ავარიის შედეგად მოყოლილი ადამიანების გადასარჩენად, ავარიის სალიკვიდაციოდ, აგრეთვე, ხანძარის ჩაქრობის და სახანძრო პროფილაქტიკური სამუშაოების განხორციელების მიზნით, ობიექტს უნდა ჰყავდეს ან სახელშეკრულებო საწყისებზე ემსახურებოდეს სამაშველო სამსახური..

2. სამაშველო სამსახურის პირად შემადგენლობას გავლილი უნდა ჰქონდეს შესაბამისი სწავლება მიწისქვეშა სამაშველო სამუშაოებთან დაკავშირებით.

3. სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად სამაშველო სამსახურის პირადი შემადგენლობის ფიზიკური მომზადების, საჭირო პროფესიული დონის შენარჩუნების მიზნით გათვალისწინებული უნდა იქნეს მიწისქვეშა პირობებში რესპირატორებით მათი პერიოდული ვარჯიშები.

4. სამაშველო სამსახურის პერსონალის სია თან უნდა ახლდეს ავარიის ლიკვიდაციის გეგმას. აღნიშნული



სამსახური აღჭურვილი უნდა იყოს შესაბამისი მოწყობილობითა და მასალებით სტანდარტის მოთხოვნათა შესაბამისად.

5. სამაშველო სამსახურის მოწყობილობა და მასალები მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში მათი ექსპლუატაციის ინსტრუქციის მოთხოვნათა შესაბამისად.
6. ობიექტის შემადგენლობაში მყოფი სამაშველო სამსახურის პერსონალის რაოდენობა უნდა განისაზღვროს ობიექტის ხელმძღვანელის მიერ, მიწისქვეშ ერთდროულად მყოფი ადამიანების რაოდენობაზე დამოკიდებულებით.
7. ობიექტის შემადგენლობაში მყოფი სამაშველო სამსახურის დაკომპლექტება უნდა მოხდეს გამოცდილი, კვალიფიციური და ჯანმრთელი, რესპირატორებში სამუშაოდ ვარგისი პერსონალით.
8. სამაშველო სამსახურის პერსონალი, სულ ცოტა, წელიწადში ერთხელ მაინც უნდა გადიოდეს სამედიცინო შემოწმებას რესპირატორებში სამუშაოდ დაშვებაზე.
9. სამაშველო სამსახურის პერსონალმა უნდა იცოდეს:
 - ა) ავარიის ლიკვიდაციის გეგმა;
 - ბ) მიწისქვეშა ნაგებობიდან სათადარიგო გასასვლელები;
 - გ) თვითმაშველების შენახვის ადგილები;
 - დ) მიწისქვეშ ხანძარქობის საშუალებების განთავსების ადგილები და მათი მოქმედებაში მოყვანის წესი;
 - ე) შესაძლო ხანძრის წარმოქმნის ნიშნები და საწყის ეტაპზე მისი ლიკვიდაციის ხერხები;
 - ვ) გვირაბში ავარიის და ხანძრის თავიდან ასაცილებლად პროფილაქტიკური სამუშაოების ჩატარება და ავარიის წარმოქმნისას გვირაბში მოყოლილი ადამიანების გადარჩენის მეთოდები;
 - ზ) პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა.
10. სამაშველო სამსახურის წევრები ვალდებული არიან დაუყოვნებლივ აცნობონ ობიექტის ხელმძღვანელობას და/ან ტექნიკურ ზედამხედველს უსაფრთხოების მოთხოვნათა ნებისმიერი დარღვევა და მიიღონ ზომები მათ აღმოსაფხვრელად; ავარიის წარმოქმნის შემთხვევაში გააფრთხილონ ადამიანები საშიშროების შესახებ და მიიღონ ზომები უსაფრთხო ადგილზე მათ გასაყვანად, აგრეთვე, ყველა არსებული საშუალებით დაიწყონ ავარიის ლიკვიდაცია.
11. სამაშველო სამსახურის მიერ სამუშაოების სწორად ორგანიზების და წარმოების მიზნით, ობიექტზე უნდა იყოს ხელმძღვანელობასთან შეთანხმებული საწარმოო ინსტრუქცია.
12. ობიექტს, რომელსაც ემსახურება მის შემადგენლობაში მყოფი სამაშველო სამსახური, უფლება აქვს ხელშეკრულების საფუძველზე ისარგებლოს სპეციალიზებული სამაშველო სამსახურის მეთოდური და ტექნიკური მომსახურებით, აგრეთვე, ავარიის წარმოქმნის შემთხვევაში, როდესაც მას საკუთარი ძალებით არ შეუძლია ავარიის ლიკვიდაცია – სპეციალიზებული სამსახურის დახმარებით.
13. სამაშველო სამსახურის დისლოკაციის ადგილზე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სადღელამისო მორიგეობა.

თავი VIII

დამატებითი მოთხოვნები



მუხლი 23. სამკურნალო ობიექტები

1. მიწისქვეშ სამკურნალოდ მყოფი პაციენტების და მათი მომსახურე პერსონალის რაოდენობა, რომლებიც ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდნენ მიწისქვეშა სამკურნალო ობიექტზე, აგრეთვე, ჰაერის გარემოს პარამეტრები გათვალისწინებული უნდა იქნეს სამკურნალო ობიექტის პროექტით.
2. მიწისქვეშ სამკურნალოდ მყოფ ყველა პაციენტს უნდა ჩაუტარდეს ინსტრუქტაჟი მიწისქვეშა პირობებში ქცევის და უსაფრთხოების შესახებ.
3. პაციენტების და მათი მომსახურე პერსონალის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელია ობიექტის ადმინისტრაცია.
4. ხანძრის შემთხვევაში ობიექტზე გათვალისწინებული უნდა იყოს განკერძოებული (დამოუკიდებელი) ვენტილაცია, აგრეთვე, პაციენტების ევაკუაციის შესაძლებლობა ჰაერის სუფთა ჭავლით, თვითმაშველების გამოყენების გარეშე.
5. გვირაბში პაციენტების და მათი მომსახურე პერსონალის შესვლა (გამოსვლა) თანმხლები პირის გარეშე აკრძალულია. მოძრაობა დასაშვებია მხოლოდ დადგენილი მარშრუტით.
6. მოძრაობის გზაზე გათვალისწინებული უნდა იქნეს სტაციონარული და საავარიო განათების მოწყობა. ყველა გადაკვეთის ადგილზე დაყენებული უნდა იყოს მარშრუტის მიხედვით მოძრაობის და ზედაპირზე გამოსასვლელ ადგილამდე მანძილის მაჩვენებლები.
7. ობიექტის მომსახურე პერსონალი სამუშაოზე დაშვებამდე უნდა გაეცნოს მიწისქვეშ უსაფრთხოების ტექნიკის, გვირაბების ექსპლუატაციის ძირითად მოთხოვნებს, იცოდეს ზედაპირზე საავარიო გასასვლელები, თვითმაშველების და ხანძარქრობის პირველადი საშუალებების გამოყენება.
8. ობიექტის გვირაბების ჭერი გამაგრებული უნდა იყოს პროექტის შესაბამისად და მუდმივად უნდა ხდებოდეს ჭერიდან ქანის აშრევებული ნაწილების მოშორება.

მუხლი 24. საექსკურსიო და ტურისტული დანიშნულების ობიექტები

1. გამოქვაბულში დამთვალიერებელთა დაშვებამდე ტექნიკური ზედამხედველის მიერ შემოწმებული უნდა იქნეს: გამოქვაბულის ჭერისა და გვერდების მდგომარეობა, სამარშრუტო ბილიკის, განათების და საკაბელო მეურნეობის, ელექტროდანადგარების, უსაფრთხოების ხელსაწყოების, აგრეთვე, დადგენილ მარშრუტზე ხანძარსაწინააღმდეგოდაცვის საშუალებების გამართულობა. შემოწმების შედეგები შეტანილი უნდა იყოს უურნალში.
2. მღვიმის (გამოქვაბულის) დღისეულ ზედაპირზე გამოსასვლელები უნდა გადაიღობოს, რათა თავიდან იქნეს აცილებული მიწისქვეშ უცხო პირების მოხვედრა.
3. გამოქვაბულის დარბაზებში ყოველთვიურად უნდა ჩატარდეს გვერდების და ჭერის დათვალიერება. ჭერზე და გვერდებზე ქანის აშრევების მოცილება უზრუნველყოფილი უნდა იქნეს სპეციალური სამარჯვების დახმარებით. მნელმისადგომ და საშიშ ადგილებში აღნიშნულ სამუშაოებს უნდა ასრულებდეს სამაშველო სამსახური.
4. საქვეითო გზა, რომელსაც გამოქვაბულის ძირთან შედარებით აქვს 0,5 მ ამაღლება, შემოღობილი უნდა იქნეს ბადიანი მოაჯირებით. შემოღობვის სიმაღლე უნდა იყოს, სულ ცოტა, 1,2 მ, ხოლო სიგანე, სულ ცოტა, 1,0 მ. საქვეითო გზის 60-ზე მეტად დახრისას, უნდა მოეწყოს მოაჯირიანი კიბეები.
5. გვირაბიდან მიწის ზედაპირზე დამატებითი გამოსასვლელი (შესასვლელი), აგრეთვე, გრუნტის წყლების ასარინებლად გათვალისწინებული არხები, თხრილები მუდმივად უნდა იყოს გამართულ მდგომარეობაში.
6. დამთვალიერებელთა მაქსიმალური რაოდენობა მომსახურე პერსონალთან ერთად, რომლებიც ერთდროულად შეიძლება იმყოფებოდნენ გამოქვაბულში, განისაზღვრება პროექტით.
7. მღვიმები (გამოქვაბულში) დამთვალიერებელთა ჯგუფის დაშვება უნდა მოხდეს გამოქვაბულის შესასვლელის (გამოსასვლელის) წინ მოწყობილ მოსაცდელ ადგილზე ყველა დამთვალიერებლის შეკრების შემდეგ.



8. მღვიმეში (გამოქვაბულში) დამთვალიერებელთა გადაადგილება ექსკურსიამდოლის ან ტექნიკური ზედამხედველის თანხლების გარეშე და გაუთვალისწინებელი მარშრუტით აკრძალულია.

9. ექსკურსიამდოლი ვალდებულია დამთვალიერებელთა ჯგუფს გააცნოს გამოქვაბულში მათი ქცევის წესები, რომელიც გამოკრული უნდა იყოს გამოქვაბულის შესასვლელთან მოწყობილ მოსაცდელ ადგილზე.

მუხლი 25. კანალიზაცია, წყალამოღვრა, წყალმომარაგება

1. გვირაბში სანიტარულ-საყოფაცხოვრებო სათავსების, სანკვანმების მოწყობის აუცილებლობა, აგრეთვე, საწარმოო ჩამდინარე წყლების გაწმენდის ხერხები დაბინძურების ხასიათზე და კატეგორიაზე დამოკიდებულებით, გათვალისწინებული უნდა იქნეს ობიექტის პროექტით.

2. ობიექტიდან ზედაპირზე ამოტუმბულ წყალს წელიწადში ორჯერ მაინც უნდა ჩაუტარდეს ხარისხობრივი და რაოდენობრივი ქიმიურ-ბაქტერიოლოგიური ანალიზი.

3. ობიექტი საიმედოდ უნდა იქნეს დაცული ზედაპირიდან მიწისქვეშა სათავსებში წყლის მოხვედრისაგან. ზედაპირული წყალჩასადინარები (ხრამები და სხვ.) გადაღობილი უნდა იყოს ზედაპირული წყლების აცილების და მიწისქვეშა სათავსებში მათი შეღწევის თავიდან აცილების უზრუნველმყოფი თხრილებით.

4. მიწისქვეშა წყაროს წყლების ვარგისობა სამეურნეო-სასმელი საჭიროებისათვის ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა განისაზღვროს სანიტარული ნორმების შესაბამისად.

თავი IX

არაარსებითი, არსებითი და კრიტიკული შეუსაბამობები

მუხლი 26. არსებითი შეუსაბამობების განსაზღვრა

1. რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-3, მე-4, მე-8, მე-16, მე-18 და 20-ე პუნქტებში, მე-9 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-10 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-11 მუხლის მე-5, მე-7, მე-8 და მე-12 პუნქტებში, მე-12 მუხლის მე-5, მე-7, მე-8 პუნქტებში, მე-13 მუხლის პირველ პუნქტში, მე-15 მუხლის მე-4 პუნქტში, მე-16 მუხლის პირველ და მე-2 პუნქტებში, მე-17 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-18 მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-8, მე-9 და მე-10 პუნქტებში, მე-19 მუხლის მე-7 პუნქტში, მე-20 მუხლის პირველ, მე-2, მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში, 21-ე მუხლის მე-3 და მე-5 პუნქტებში, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტში, 24-ე მუხლის მე-5 პუნქტში, 25-ე მუხლის მე-3 პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

2. რეგლამენტის მე-6 მუხლის პირველი, მე-3 და მე-4 პუნქტებში, მე-7 მუხლის პირველი, მე-2, მე-7, მე-9, მე-11, მე-12, მე-14, მე-15, მე-17 და 21-ე პუნქტებში, მე-8 მუხლის პირველი, მე-4 და მე-5 პუნქტებში, მე-11 მუხლის პირველი, მე-2 და მე-9 პუნქტებში, მე-12 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტებში, მე-13 მუხლის მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-7 პუნქტებში, მე-14 მუხლის პირველი, მე-2 და მე-7 პუნქტებში, მე-15 მუხლის მე-2, მე-3 და მე-6 პუნქტებში, მე-17 მუხლის პირველ პუნქტში, მე-19 მუხლის მე-2 და მე-6 პუნქტებში, 21-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებში, 22-ე მუხლის მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-7 პუნქტებში, მე-9 პუნქტის „ა“ „ბ“ „გ“ „დ“ „ე“ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებში, მე-10, მე-11 და მე-13 პუნქტებში, 23-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-4, მე-5, მე-6 და მე-8 პუნქტებში, 24-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-6, მე-7, მე-8 და მე-9 პუნქტებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის არსებით შეუსაბამობას.

მუხლი 27. კრიტიკული შეუსაბამობების განსაზღვრა

1. რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-10 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებში, მე-11 მუხლის მე-11 პუნქტში, მე-13 მუხლის მე-8 პუნქტში, მე-16 მუხლის მე-3, მე-4, მე-5 და მე-6 პუნქტებში, მე-17 მუხლის მე-4, მე-6 პუნქტებში, მე-7 პუნქტის „ბ“ „გ“ „დ“ „ე“ და „ვ“ ქვეპუნქტებში, მე-18 მუხლის პირველი და მე-5 პუნქტებში, მე-19 მუხლის პირველი, მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებში, 20-ე მუხლის მე-7 და მე-8 პუნქტებში, 22-ე მუხლის, მე-5 და მე-8 პუნქტებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება I ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.

2. რეგლამენტის მე-7 მუხლის მე-13 და მე-19 პუნქტებში, მე-9 მუხლის პირველ პუნქტში, მე-11 მუხლის მე-3, მე-4 და მე-6 პუნქტებში, მე-12 მუხლის მე-2 პუნქტში, მე-14 მუხლის მე-3 პუნქტში, მე-17 მუხლის მე-5 პუნქტში, მე-7 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტში, 22-ე მუხლის პირველ პუნქტში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება II ხარისხის კრიტიკულ შეუსაბამობას.



მუხლი 28. არაარსებითი შეუსაბამობების განსაზღვრა

რეგლამენტის 26-ე და 27-ე მუხლებში მოცემული შესაბამისი მუხლების გარდა, ყველა სხვა მუხლებში მითითებული მოთხოვნების დარღვევა განეკუთვნება არაარსებით შეუსაბამობას.

